# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (9.899)

19-26 ოქტომბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


საყოველთაო ჯვრისწერა არბოშიკში

გვ. 2



ლადო ათანელი

30 წელი – მსოფლიო სცენაზე



გვ. 8

თურქეთი სირიაში შეიჭრა, მაგრამ უშედეგოდ... რა შეცდომები დაუშვა ერდოღანმა?



გვ. 7

# სასწრაფო დახმარების ცენტრს მალე ახალი შენობა ექნება



გვ. 3

## „ოფთალმიჯის“ მორიგი საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროში

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ,,ოფთალმიჯმა “ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მორიგი საქველმოქმედო აქცია ჩაატარა.

აქციის ფარგლებში პაციენტებს მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება კლინიკის წამყვანმა ოფთალმოლოგმა ნიკა მამასახლისმა გაუწია.

უფასო გამოკვლევები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა.



## პატრიარქმა დედოფლისწყაროს სასულიერო პირებს ხარისხი აუმაღლა

***უწმიდესის და უნეტარესის, კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის ბრძანების საფუძველზე დედოფლისწყაროში მოღვაწე ხუთ სასულიერო პირს ხარისხი აუმაღლდა. ცერემონია დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში, კვირაცხოვლობის სახელობის დედათა მონასტერში 12 ოქტომბერს გაიმართა.***

გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრი კაპანაძემ წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღოლი მღვდელ-მონაზონი პანტელეიმონ ჩიტორელიძე ილუმენის ხარისხში აიყვანა და ოქროს ჯვრის ტარების უფლება მიანიჭა. ასევე, მღვდელ-მონაზონი სერაფიმეც ილუმენის ხარისხში აიყვანეს და ოქროს ჯვრის ტარების უფლება მიენიჭა.

მიტრის ტარების უფლება მიენიჭა დეკანოზ პეტრე ხუმარაშვილს, ის ერთადერთი ქართველი სასულიერო პირია, რომელმაც აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღო და ისტორიულ ჰერეთში, კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღოლია. მას ეს ხარისხი სწორედ კახის რაიონში ახალი ქრისტიანული ტაძრის აღდგენის დროს რამდენიმე დღის წინ მიენიჭა.

სოფელ სამრეკლოს წმინდა სერაფიმ საროველის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი დედა სერაფიმა და სოფელ მირზაანის კვირაცხოვლის სახელობის მონასტრის წინამძღვარი დედა ნინო აყვანილ იქნენ ილუმენიას ხარისხში და დაჯილდოვდნენ ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

შეგახსენებთ, ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიის სასულიერო პირებს ხარისხი 2014 წელსაც აუმაღლდათ, მაშინ სამების საკათედრო ტაძარში ჯილდო პირადად პატრიარქმა გადასცა.



C M Y K

# შეხვედრა კომბაინების ბელარუს მწარმოებლებთან

16 ოქტომბერს, ქ. დედოფლისწყაროში, კახელი ფერმერების თხოვნის გათვალისწინებით, შეხვედრა გაიმართა ბელარუსის რესპუბლიკის, კომბაინების მწარმოებელი ქარხანა "გომსელმაში" - ს გენერალურ დირექტორთან და რეგიონულ დირექტორთან. კახეთში, უკვე მეორე წელია, მარცვლეული კულტურების ასაღებად მუშაობს აღნიშნული კომპანიის რამდენიმე ათეული კომბაინი. კახელმა ფერმერებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ტექნიკის მუშაობასთან დაკავშირებით. კომბაინების მწარმოებელი ქარხნის წარმომადგენლებმა თავის მხრივ, გააჟღერეს შეთავაზება ქართველი ოპერატორ-მექანიზატორების გადამზადების კურსის თაობაზე. სამუშაო შეხვედრას კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე, ირაკლი შიოშვილი, საქართველოში ბელარუსის რესპუბლიკის საელჩოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



# ფიროსმანის მუზეუმის ეზოში ვიზიტორთა ცენტრი შენდება



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში, შესასვლელ კართან, კიდევ ერთი პროექტის განხორციელება მიმდინარეობს.

როგორც ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველმა დალი აბაშიძემ გაზეთ „შირაქს" განუცხადა, შესასვლელში მოეწყობა თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი მრავალფუნქციური შენობა. იდეის ავტორების განმარტებით, მასში განთავსებული იქნება ბილეთების სალარო, მცირე ზომის სავაჭრო ობიექტი სუვენირებისთვის და საპირფარეშოები ვიზიტორებისთვის. ამ დრომდე ბილეთების რეალიზაცია ერთიან სივრცეში ხდება.

ამას გარდა, შენობის გვერდით მოწყობილი იქნება ტურნიკეტების ნაკვეთურები ვიზიტორთა გასატარებლად და ტერიტორიაზე შესასვლელი ჭიშკარი ავტოტრანსპორტისთვის.

ეს მასშტაბური პროექტი „ევროკავშირი საქართველოსთვის" საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა.

ასევე საგრანტო პროგრამით დაფინანსდა და წინა წლებში უკვე დასრულდა ამავე ეზოში მდებარე ნიკალას ბიძაშვილების საცხოვრებელი სახლის ძირეული სარეაბილიტაციო სამუშაოები. მანამდე მიზეუმის ეზოს კართან სახლის ნანგრევები იყო შემორჩენილი. შენარჩუნებულია ავთენტურობა და სტანდარტების სრული დაცვით მოხდა მისი აღდგენა.



# საყოველთაო ჯვრისწერა არბოშიკში



საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებამ საყოველთაო ჯვრისწერების მორიგი ეტაპი განახორციელა, რომელიც სვეტიცხოვლობას, 14 ოქტომბერს, მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართა. საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების მიტროპოლიტ გიორგი ალადაშვილის სახელობის არბოშიკის სადროშოს ჯვრისწერების რეგისტრაციის სამსახურის (ხელმძღვანელის ოლიკო დონჯაშვილი) ორგანიზებით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა, სოფელ ექვსმა წყვილმა დაიწერა ჯვარი:

**1. გიორგი ალადაშვილი & ქეთევან ალადაშვილი**
**2. გრამიტონ გიგოლაშვილი & ნუნუ გიგოლაშვილი**
**3. გოჩა გიგოლაშვილი & ნატალია ლობჟანიძე**
**4. გივი მოსულიშვილი & ანნა მოსულიშვილი**
**5. გოჩა ცხვედიაშვილი & ნინო ჩუთლაშვილი**
**6. დავით ფათალიშვილი & მზია ფათალიშვილი**

წყვილებს ჯვარი წმ. ივლიტესა და კვირიკეს სახელობის ტაძარში ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ლევან იაკობიშვილმა დასწერა. „ბედნიერი ვარ, რომ დღეს საყოველთაო ჯვრისწერები ჩატარდა ჩემს მშობლიურ სოფელ არბოშიკში. არბოშიკის სადროშო სულ ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა და ამ ხნის განმავლობაში შესანიშნავად იმუშავა ჯვრისწერების რეგისტრაციის სამსახურმა. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, სადროშოს წევრებს, " - განაცხადა ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ზვიად სეხნიაშვილმა .

„მოგილოცავთ დღევანდელ დღეს, დღეს თქვენს თავზე ერთ-ერთი - ჯვრისწერის საიდუმლო შესრულდა. საიდუმლო იმიტომ, რომ ჩვენ ვხედავთ ორ ადამიანს, მაგრამ ვამბობთ რომ ისინი ერთნი არიან, ერთი სისხლი და ხორცი. ის ურთიერთსიყვარული და თანადგომა რაც ახლა გაქვთ გაგყვეთ მთელი ცხოვრება. ღმერთმა ინებოს, რომ ღვთისმიერი სიყვარულით გევლოთ და გეცხოვროთ. მადლობა უფალს, რომ მოახერხეთ და შესძელით დღეს ამდენი ხნის შემდეგ ჯვრის დაწერა. ღმერთმა გაგაძლიეროთ და შეგეწიოთ დედა ღვთისა" - მიმართა ჯვარდაწერილებს დეკანოზმა ლევან იაკობიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პროექტში მონაწილეობენ წყვილები, რომლებსაც აქვთ ოჯახები და დღემდე ჯვარი არ დაუწერიათ. ჯვარდაწერილ წყვილებს, ტრადიციულად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II დალოცავს.

ქუჯუნა ყანჩაშვილი

# სპექტაკლი მირზაანში



დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში, ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ მომზადებული სპექტაკლის ჩვენება გაიმართა. სპექტაკლი „უცნობი ფიროსმანი" თვითნასწავლი მხატვრის ცხოვრებას და მოღვაწეობას ასახავდა. მოზარდებმა ნიკალას ნახატების გმირებიც გააცოცხლეს.

„ფოთელი მოზარდები დიდი სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი ფიროსმანის მიმართ და წარმოგვიდგინეს სპექტაკლი ფიროსმანის ცხოვრების შესახებ: სახელად „უცნობი ფიროსმანი" ქ.ფოთის N-1 საჯარო სკოლამ მადლობა გადაუხადა და მადლობის სიგელი გადასცა მირზაანის ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დირექტორს ქალბატონ დალი აბაშიძეს, აქტიური თანამშრომლობისა და პროექტ „უცნობი ფიროსმანის" განხორციელებაში მხარდაჭერისთვის," – აღნიშნავენ მუზეუმში.

# სასწრაფო დახმარების ცენტრს მალე ახალი შენობა ექნება

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა უკვე აგებულია, ახლა მისი კოსმეტიკური რემონტი მიმდინარეობს. ამის შესახებ დედოფლისწყაროს მერიაში აცხადებენ.***

ეს და სხვა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და რეგიონული პროექტების სამსახურის კოორდინატორმა გიორგი კიკნაძემ დაათვალიერეს. ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გიორგი კიკნაძე ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდნენ და სამშენებლო სამუშაოების შესახებ გაესაუბრნენ. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, დედოფლისწყაროში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, ადგილობრივი ხელისუფლება კი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მათ მონიტორინგს აქტიურ რეჟიმში ახორციელებს.

არსებული ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 293 378 ლარია და მშენებლობა უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ შენობაში სასწრაფო დახმარების სამსახური განთავსდება. სამსახური მაღალი გამავლობის ახალი ავტომობილებით 2015 წელს აღიჭურვა.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, აღნიშნული თანხა აისახა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში. საკითხს კენჭი მიმდინარე წლის 27 მარტს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიაზე ეყარა.

როგორც საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში "შირაქს" განუცხადეს, 2019 წელს სასწრაფო სამედიცინო დახმარების 40 ახალი ცენტრი აშენდება. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ადმინისტრაციული შენობები სრულად იქნება აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ადგილზე პერსონალისთვის სამუშაო და მოსასვენებელი ყველა პირობა შეიქმნება.



„ამ დროისთვის, არსებული ეკიპაჟები სრულად უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ახალი ცენტრების აშენება კი, სწორედ ამ პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, რაც თავის მხრივ, გადაუდებელი დახმარების ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის, “ - განმარტეს ცენტრის პრესსამსახურში.

2018 წელს ახალ შენობებში უკვე განთავსდა ჩოხატაურის, ფოთის, ბორჯომის, ხონის, ქობულეთის, საჩხერის, ახალციხისა და თელავის რაიონული სამსახურები.

# „ახალი თაობა“ - რეგიონული მუსიკალური მეგა-შოუ

ბოლო ხანს სატელევიზიო მუსიკალური შოუები პოპულარულია. ამჯერად, კახეთის გუბერნიის ინიციატივით, მეგა-შოუ „ახალი თაობა“ კახეთის რეგიონულ კონკურსს იწყებს. როგორც ორგანიზატორები განმარტავენ, ყველა რაიონიდან ხუთი მომღერალი შეირჩევა, საბოლოოდ კი ერთმანეთს შეეჯიბრებიან. შესარჩევი ტურები ყველა რაიონში უკვე დასულდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსი მხოლოდ კახეთის მასშტაბით ტარდება, დაწესებულ პრიზებს თუ გადავხედავთ, „ახალი თაობა“ არაფრით ჩამოუვარდება წამყვან არხებზე მანამდე ჩვენთვის კარგად ნაცნობ შოუებს. დასკვნითი ლაივ კონცერტი 31 დეკემბერს უნდა გაიმართოს და ფინალში გამარჯვებულს საჩუქრად



ავტომობილი გადაეცემა. კონკურსი „ახალი თაობა“ ტელეკომპანია „გურჯაანის“ პირდაპირ ეთერში გავა და ლაივ კონცერტები ყოველ შაბათს გაიმართება.

27 ოქტომბერს 17 საათზე დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე ადგილობრივ კონკურსანტებს შორის შეჯიბრი გაიმართება. საკონკურსო კონცერტი რეგიონულ ტურში მონაწილეს გამოავლენს. სწორედ ამ დღეს გახდება ცნობილი, ვინ წარადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს რეგიონალურ მეგა-შოუზე.

კონკურსის დეტალებზე გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ილია მარტყოფლიშვილს ესაუბრა:

- „ძალიან საინტერესო პროექტია და რეგიონის მასშტაბებთან შედარებით, მონაწილეთათვის საკმაოდ მომხიბვლელი პრიზებია გათვალისწინებული. პროექტი ნოემბერში დაიწყება და ლაივ კონცერტები ყოველ შაბათს, ტელეკომპანია „გურჯაანის“ პირდაპირ ეთერში გავა. ეს არხი მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმისაწვდომია იმ ოჯახებისთვის, ვისაც „მაგთის“, „მაგთისატის“, ან „სილქნეტის“ ტელევიზია აქვთ. ნოემბრამდე ყველა რაიონში ჩატარდება ადგილობრივი რაიონული საკონკურსო კონცერტები, სადაც ჩვეულებრივ საკონცერტო ნომრებით წარსდგებიან მაყურებლისა და ჟიურის წინაშე. წინასწარი რეგისტრაციის გარეშე მოხდა მონაწილეების შერჩევა. ოცამდე კონკურსანტი დარეგისტრირდა. მათგან ექვსი მეორე ტურში გადავიდა, მეშვიდემ კი ოქროს ბარათი მიიღო, რაც გარანტირებულ ადგილს გულისხმობს.

**- გვიამბეთ, როგორ ჩაიარა შესარჩევმა ტურებმა?**

- პროექტის სათანადოდ რეკლამირება და პოპულარიზაცია ვერ მოვახერხეთ, ამიტომ ვშიშობდით, რომ ქასთინგზე არც მსურველთა სიმრავლე იქნებოდა, რაც გაართულებდა მონაწილეების შერჩევას. გვქონდა განცდა, რომ ინფორმაციის ეფექტურად გავრცელება დროის სიმცირის გამო ვერ მოვახერხეთ. საბედნიეროდ, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და კულტურის სახლის ჰოლში მოზარდების სიმრავლე იყო. ძალიან ეფექტურად დაიწყო პირველივე ტური. სცენაზე გამოსული პირველი ხუთი გამომსვლელი იმდენად კარგად მომზადებული და ეფექტური იყო, რომ ჟიურის ყოყმანის საშუალებაც არ მისცეს, ყველა მათგანი შემდეგ ტურში გადავიდა. საბოლოო ჯამში, ჟიურის ყველა წევრი კმაყოფილი იყო.

**- შესარჩევ ტურებში გამარჯვებულების შესახებ რა შეგიძლიათ გვითხრათ?**

- პირველ ტურში ბევრი მოვიდა ისეთიც, რომლებსაც მანამდე ამ სფეროში პროფესიული განათლება ან მომზადება არ ჰქონია გავლილი. ასეთი იყო მაგალითად სოფელ სამრეკლოდან, განგა აქიაშვილი, რომელიც თვითნასწავლია და ქასთინგის შესახებ რამდენიმე წუთით ადრე შეიტყო და სცენაზე პირდაპირ მალაზიიდან მოვიდა, სადაც კონსულტანტად მუშაობს. ამ გოგონამ ჟიურის მოხიბვლა მალე მოახერხა. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ჟიურიში ქალბატონი მარიამ კიკილაშვილი იჯდა და გაოცებული იყო, რომ ისეთი მონაწილეებიც აღმოაჩინა, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ კავშირი მუსიკასთან და ასე უცებ, ასე კარგად აჩვენეს საკუთარი შესაძლებლობები. ყველაზე შთამბეჭდავი გამოსვლა ლიზი ყოჩიაშვილს ჰქონდა, რომელსაც ჟიურიმ შეაწყვეტინა სიმღერა, ნომრის დასრულება არ აცადა და ოქროს ბარათით დააჯილდოვა. ის მეორე ტურზე გურჯაანშიც იმყოფებოდა, თუმცა ოქროს ბარათის დამსახურებით მას კონკურსში მონაწილეობა უკვე აღარ მიუღია, გარანტირებული ადგილი მიიღო.

**- ანუ, ძირითადი კონკურსის გარდა, პროექტის შესარჩევ კონცერტს დედოფლისწყაროშიც უნდა ველოდეთ?**

- რა თქმა უნდა. როგორც სხვა მსგავს შოუებში გვინახავს, ზოგიერთი მათგანი კონკურსს გამოეთიშება, წინასწარ შერჩეული ბავშვების გაცხრილვა მოხდება და გამარჯვებულ 1, ან 2 კონკურსანტს კახეთის ფინალურ შოუზე გავგზავნით. ასე რომ, ***შერჩეული 7 კონკურსანტიდან დედოფლისწყაროს კონცერტზე 5 მათგანი წარმოადგენს საკუთარ შესაძლებლობებს, ადგილზე გამოვლენილი გამარჯვებულები სხვა მუნიციპალიტეტებიდან შერჩეულ კონკურსანტებს უკვე თელავში გაეჯიბრებიან. რაიონული კონცერტები კახეთის მასშტაბით 19 ოქტომბრიდან დაიწყო, 27 ოქტომბერს კი საკონკურსო კალენდრის მიხედვით ადგილობრივი კონკურსანტების კონცერტი დედოფლისწყაროში უნდა გაიმართოს.***

**- როგორც ცნობილია, მეორე ტურიც დასრულდა და კონცერტებისთვის უკვე შერჩეულია ხუთეული**

- დიახ, მეორე ტური სიღნაღში უნდა გამართულიყო, თუმცა გარკვეული ტექნიკური პრობლემების გამო სიღნაღში ვერ შედგა და ჩვენი შვიდეული ლაგოდეხის და საგარეჯოს კონკურსანტებთან ერთად გურჯაანში გაემგზავრა, საიდანაც ორი კონკურსანტი პროექტს გამოეთიშა და ხუთი მათგანი გადავიდა შემდეგ ეტაპზე. ესენი არიან: ლიზი ყოჩიაშვილი, მარიამ ყოჩიაშვილი, საბა ყაჭაშვილი, ნინო ცხოვრებაშვილი და ლიზი ბუთხუზი. დებ ყოჩიაშვილებს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. ხოლო ნინო ცხოვრებაშვილი გახლავთ სოფელ ოზაანში მცხოვრები პროექტ „ნიჭიერის“ ერთერთი გამორჩეული და პოპულარული ფინალისტის თამარ ყველაშვილის ქალიშვილი. მის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით, მაგრამ პირველივე ტურში ძალიან მოგვხიბლა. როგორც ჩანს მეორე ტურზეც წარმატებული გამოსვლა ჰქონდა, რადგან ჟიურის მოხიბვლა კიდევ ერთხელ მოახერხა. მისი დედის ემოციური გამოსვლები დღემდე გვახსოვს, ამდენად, მისი მონაცემები იმედს გვაძლევს, რომ შვილიც წარმატებული იქნება. კვირას, 27 ოქტომბერს ჩანიშნულია პირველი რაიონული კონცერტი, ხუთივე მონაწილეს მიეცა დავალებები, ემზადებიან პირველი კონცერტისთვის და პროცესი აქტიურ ფაზაში შედის. თითოეულ მონაწილეს უნდა ჰყავდეს ფანკლუბი, რომლებიც მათ პიარზე იმუშავებენ და სპეციალურ კამპანიას წარმართავენ. ჩაფიქრებულია, რომ სატელეფონო ნომრებითაც იქნება ხმის მიცემის შესაძლებლობა და ამ ყველაფერს ორგანიზება და პიარი ჭირდება.

**- უამრავი სიურპრიზია დაგეგმილი, გამარჯვებულს ავტომობილი გადაეცემა...**

- კონკურსს უამრავი სპონსორი და მხარდამჭერი ეყოლება, რომლებიც სხვა შოუების მსგავსად სპეციალურ პრიზებს დააწესებენ. მათვე ეყოლებათ საკუთარი ფავორიტები და საკუთარი სურვილით დააჯილდოვებენ მათთვის სასურველ მონაწილეს. ასე რომ, საჩუქრები მათაც ელოდებათ, ვინც მთავარ პრიზს ვერ მოიგებს. პროექტის ორგანიზატორები და კახეთის რეგიონის ადმინისტრაცია ცდილობენ სპონსორებისა და მხარდამჭერების რიცხვი კიდევ გაიზარდოს, რათა კიდევ უფრო მრავალფეროვანი პრიზების დაწესება მოხერხდეს. ***ზოგადად, ფინალში გადასული ყველა მონაწილე დასაჩუქრდება. გარდა ამისა, კახეთის გუბერნია და მუნიციპალიტეტები იზრუნებენ კონკურსში მონაწილე ყველა ახალგაზრდის კარიერულ წინსვლასა და მათ პოპულარიზაციაზე. ადგილობრივ თვითმმართველობებს სხვადასხვა სახის პრიზები ექნებათ დაწესებული. ეს კონკურსი მარტიდან აგვისტოს ჩათვლით ახმეტის მუნიციპალიტეტში უკვე განხორციელდა და***



***იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ გუბერნატორის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, კონკურსი რეგიონის მასშტაბით გაეტანა და ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ჩართულიყო. კონკურსის დასრულების შემდეგ ყველა რაიონს ეყოლება პოპულარული ახალბედა მომღერალი, რომელთანაც მუნიციპალიტეტები ადგილობრივი კონცერტების ჩატარების დროს აქტიურად ითანამშრომლებენ. ასე რომ, წინ ბევრი სიურპრიზი გველის.***

# „ხიბლი მასწავლებლისა“...

17 ოქტომბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ღონისძიება „ხიბლი მასწავლებლისა“, სადაც მოწვეულნი იყვნენ დედოფლისწყაროს სკოლების წარმატებული, ხელოვანი და ბავშვების საყვარელი მასწავლებლები. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ მიულოცეს პედაგოგებს პროფესიული დღე. ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა დირექტორმა თამარ ლაპიაშვილმა და ღრმა პატივისცემა და სიყვარული გამოხატა პედაგოგების მიმართ. წამყვანმა ნინი სიფრაშვილმა საინტერესო და სახალისო კითხვები მოუმზადა მოწვეულ სტუმრებს, რაც სასიამოვნო განწყობას ქმნიდა დარბაზში. სტუმრებმა წაიკითხეს ლექსები, მათ შორის გამარჯვების სკოლის პედაგოგმა ეკა თარაშვილმა, რომელიც არამარტო ბავშვების საყვარელი მასწავლებელია, არის შესანიშნავი პოეტი. ქალბატონმა ეკამ თავისი ლექსების წაკითხვით დიდი სიამოვნება მიანიჭა მსმენელთ. კულტურის სახლის დირექტორი, უნიჭიერესი ცარო მარტიაშვილი აქტიურად იყო ჩართული საღამოს მსვლელობაში, მან გასცა კითხვებს პასუხები და შეასრულა მხატვრული ნომრებიც. ლექსები წაიკითხა №1 საჯარო სკოლის პედაგოგმა დალი ბენაშვილმა. აქტიურად იყვნენ ჩართულნი ასევე პედაგოგები:ნონა ტოკლიკიშვილი, თამარ თარაშვილი, ია ლაპიაშვილი, მზია წყარუაშვილი, მარიკა პოპიაშვილი, რომელთაც გაიხსენეს სასიამოვნო ამბები და კურიოზები. ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი ქ-ნი თამარ თამაზაშვილი, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორი ქ-ნი ეთერ დავითაშვილი, ყველასთვის საყვარელი პედაგოგი ქ-ნი ნანული ნატროშვილი და სააღმზრდელო ცენტრის სპეციალისტები-ეკა პოპიაშვილი, მაია ცოგოშვილი, ირინა ფიროსმანაშვილი. ღონისძიების ავტორი და წამყვანი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი ქ-ნი ნინო სიფრაშვილი და თანაავტორი, პედაგოგთა პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი ქ-ნი მაყვალა მაძღარაშვილი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა პედაგოგებს ღონისძიებაში მონაწილეობისთვის, უამრავ წარმატებას და უამრავი თაობის აღზრდას ვუსურვებთ მათ.





მოსწავლე-ახალგაზრდოზის სახლის დირექცია

# ბავშვი წითელი პომადით – საფრთხე, რომელსაც მშობლები ვერ გრძნობენ

**ფატა, დიადემა, თეთრი, მოკლე კაბა, მაღალი ქუსლები, მაკიაჟი, მუქი პომადა... კაბრიოლეტი, მაღალი წინდები, მოკლე შორტები, მოკლე მაისური... შავი, მოკლე კაბა, დეკოლტე, გრძელი საყურე, მძიმე მაკიაჟი, მაღალი ქუსლი, თივის ზვინი...**

ეს არის არასრული ჩამონათვალი და აღწერა 7 წლის ბავშვის იმ ფოტოებისა და ვიდეოებისა, რომლებსაც მისი მშობლები ფეისბუკის საკუთარ გვერდზე აქვეყნებენ, შემდეგ კი ფოტო-ვიდეო მასალას სხვადასხვა გვერდები აზიარებენ კომენტარებით: „პატარა ანგელოზი“, „რა სილამაზეა“.

7 წლის ბავშვის ვიდეო, რომელიც მაკიაჟით, ფატითა და თეთრი, მოკლე კაბით, სავარაუდოდ, ნათესავის ქორწილში ცეკვავს, სოციალურ ქსელში 15 ოქტომბერს გამოჩნდა. მას 100 ათასამდე ნახვა აქვს. ვიდეომ და ფოტოებმა, ბავშვთა უფლებების დამცველების შეშფოთება გამოიწვია.

უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ ბავშვი არის ჰიპერსექსუალიზებული, დასწავლილი მოძრაობებით, რომელიც მიმართულია სექსუალური ლტოლვის აღძვრაზე. მათი თქმით, მაშინ, როდესაც ქვეყანაში შემაშფოთებელი და მზარდია არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულთა სტატისტიკა, აუცილებელია, საქმეში სახელმწიფო უწყებები, მათ შორის შსს და სოციალური მომსახურების სააგენტო ჩაერთონ.

„ვერ ვხვდები, რა პრობლემაა“

„ყველას ყავს შვილი და ყველას ყავს გაპრანჭული და “გამოპეწილი” შვილი და რატომღაც, მხოლოდ ჩვენთვის იქცა პრობლემად“, - უთხრა რადიო თავისუფლებას 7 წლის ბავშვის დედამ, 24 წლის ქალმა, რომელსაც სურს, რომ მისი შვილი მოდელი გახდეს:

„ძალიან მიკვირს, რატომ გამოიწვია ამ ფოტოებმა შეშფოთება. თან ისეთები ლაპარაკობენ, რომლებსაც მართლა საშინლად „გაკრასკული“ ფოტოები უდევთ, ცისფერი „ტენებით“. დადებით კომენტარებთან ერთად რაღაცნაირად უარყოფითი კომენტარებიც წამოვიდა და გული დამწყდა ნამდვილად. მე ვერ ვხედავ ვერანაირ საფრთხეს. საფრთხე რა უნდა იყოს, რა ვიცი“.

ბავშვის დედა ამბობს, რომ მისი შვილი ხშირად მონაწილეობს სილამაზის კონკურსებში და გამარჯვებულიც ბევრჯერ გამხდარა. ამბობს, რომ მის შვილს ძალიან მოსწონს ფოტოების გადაღება და დედაც ხელს უწყობს, რომ ფოტოებზე სათანადოდ გამოიყურებოდეს: „კარგი მონაცემები აქვს და არ მინდა დავკარგო მისი მონაცემები“.

რას იზამს სოციალური მომსახურების სააგენტო?

მე მინდა დავანახო ამ ბავშვის დედას, რომ მისი შვილი შეიძლება იქცეს პედოფილების სამიზნედ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სამხარეო ცენტრის უფროსი სოციალური მუშაკი მაია ჯაში რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ ბავშვის დედას შეხვდება და განუმარტავს, რა ტიპის საფრთხეებს შეიძლება შეიცავდეს მსგავსი ფოტო-ვიდეო მასალის განთავსება ინტერნეტში:

„დედას უკვე ველაპარაკეთ ტელეფონით. საღამოს მოვა სააგენტოში. ოჯახი არის ეკონომიკურად ძლიერი, მოწესრიგებული, ბავშვი იღებს განათლებას, დადის ცეკვაზე და სამოდელო სააგენტოში. დედას აქვს სურვილი, რომ ბავშვი ამ მიმართულებით განვითარდეს და ამიტომაც პრანჭავდა და ამაში ვერ ხედავდა რისკებს. სწორედ ამ რისკებზე მინდა, რომ მას პირისპირ ველაპარაკო. მე მინდა დავანახო ამ ბავშვის დედას, რომ მისი შვილი შეიძლება იქცეს პედოფილების სამიზნედ. ბავშვი დღეს შეიძლება ერთობა, უხარია, რომ ცნობადია, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეს მისთვის შეიძლება პრობლემად იქცეს“.



საფრთხე, რომელსაც მშობლები ვერ ხედავენ

ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, რომელიც ინტერნეტში ბავშვების ე.წ. სექსუალური ხასიათის ფოტოების განთავსებას შეიძლება მოჰყვეს, ეს არის „გემრიელი საკბილო“ ბავშვთა პორნოგრაფიული მასალების შეგროვებითა და გავრცელებით დაინტერესებული ჯგუფებისთვის.

კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც მსგავსი ტიპის ფოტო-ვიდეო მასალის გავრცელებას შეიძლება მოჰყვეს, ეს არის ნოყიერი ნიადაგი ბულინგისა და შანტაჟისთვის.

ქეთევან თავართქილაძე, **ფსიქოლოგი,** რომელიც წლებია მუშაობს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან, ამბობს, რომ მშობლების გაუცნობიერებელმა საქციელმა, შესაძლოა, მძიმე და დროში განგრძობითი ზიანი მიაყენოს ბავშვს:

„როდესაც მცირეწლოვანი ბავშვი ეჩვევა მსგავსი ტიპის ფოტოების გადაღებას, ეს მისთვის ნორმად იქცევა და არის დიდი ალბათობა, რომ წლების მატებასთან ერთად, თინეიჯერობის ასაკშიც გადაიღოს ამგვარი ფოტოები, ატვირთოს სოციალურ ქსელში, რაც შემდეგ შესაძლოა, გამოყენებული იქნას შანტაჟისთვის, მისგან მოითხოვონ უფრო მეტი. სამწუხაროდ, არაერთხელ გვქონია მსგავსი შემთხვევა, როდესაც მოზარდების ე.წ. თამამ ფოტოებს მათი შანტაჟისთვის იყენებენ“.

კიდევ უფრო მეტად ართულებს სიტუაციას, ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების მიმართულებით არსებული გამოწვევები, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. ერთი თვის წინ, პორნოგრაფიის საქმეზე სამართალდამცავებმა დააკავეს 10 პირი, მათ შორის მშობლები, რომლებიც საკუთარი შვილების პორნოგრაფიული ხასიათის ფოტო და ვიდეო მასალის სანაცვლოდ 500-დან 3000 ლარამდე თანხას იღებდნენ.

სამომავლოდ, არავინ იცის, ვინ გადააწყდება ამ ფოტოს, თავად ამ ბავშვის ჩათვლით და რა სიტუაციაში“.

***ქეთევან თავართქილაძე ამბობს, რომ მშობლების მიერ სექსუალურად წახალისებული ფოტოების სოციალურ ქსელში გამოქვეყნება, ხელს აძლევს სწორედ ბავშვთა პორნოგრაფიით დაკავებულ ადამიანებს:***

„დადარაჯებულები არიან პორნო ბიზნესში ჩართული პირები, რომლებიც ინტერნეტსივრცეში ნადირობენ ამგვარ მასალაზე. ისინი ამ მასალებში ფულს იხდიან და აქ კი გამზადებული მასალა ხვდებათ. მათ შეუძლიათ ყველანაირი შეზღუდვის გარეშე აიღონ ბავშვის ფოტო, განათავსონ პორნო საიტზე, გაუკეთონ სექსუალური ხასიათის მინაწერი. მის ფოტოს ისინი გამოიყენებენ, მხოლოდ და მხოლოდ, პედოფილების მოსაზიდად და ფულის თაღლითური გზით საშოვნელად, მაგრამ ბავშვის ფოტო ამგვარი წარწერით, დარჩება ინტერნეტსივრცეში და სამომავლოდ, არავინ იცის, ვინ გადააწყდება ამ ფოტოს, თავად ამ ბავშვის ჩათვლით და რა სიტუაციაში“.

„გადიდებული“ ბავშვები და სილამაზის კონკურსების ტრავმა

მოდელი და მის საქართველო, ირინა ონაშვილი, წლების წინ, ბავშვთა სილამაზის კონკურსის ჟიურის წევრი იყო. ამ გამოცდილებას დღეს ნანობს და ამბობს, რომ ჟიურის წევრობის გადაწყვეტილება მაშინ გამოუცდელობისა და ინფორმაციის ნაკლებობის გამო მიიღო.

ირინა ონაშვილის თქმით, ბავშვთა სილამაზის კონკურსები მისთვის, როგორც სამოდელო ინდუსტრიაში დასაქმებულისთვის, აბსოლუტურად მიუღებელია. ამბობს, რომ ის სამოდელო სააგენტოები, რომლებიც ბავშვთა სილამაზის კონკურსებს მართავენ და ის მშობლები, რომლებსაც ბავშვები მსგავსი ტიპის კონკურსებში მონაწილების მისაღებად მიჰყავთ, არღვევენ ბავშვების უფლებებს და მათ სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებენ:

„იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ვერ ხვდება, რას აშავებს, აუცილებელია, რომ ვიღაცამ მიუთითოს, რა საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს ის შვილს. როგორც წესი, მშობლების არგუმენტი არის ხოლმე, რომ ჩემი შვილია და რასაც მინდა, იმას ვუზამ, თუმცა, ეს მიდგომა უნდა დასრულდეს. სამწუხაროდ, პირადად ვარ მომსწრე, როგორ ითხოვდნენ ხოლმე თავად მშობლები ბავშვებისთვის მაკიაჟის გაკეთებას, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდით ჩვენს სამოდელო სააგენტოში. რაც შეეხება მშობლების აღტაცებას, რომ მათი შვილები სილამაზის კონკურსებში იღებენ მონაწილეობას, მინდა ვუთხრა, რომ არ გაიმეტონ შვილები ასეთი ტიპის სტრესისთვის. ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს ბავშვებისთვის, როდესაც ერთი მონაწილე იმარჯვებს, იდგამს თავზე გვირგვინს და დანარჩენი 20 ბავშვი უკან ტირის“.

***7 წლის ბავშვის ფოტო-ვიდეო მასალა და მისი მშობლების სოციალურ ქსელში აქტიურობა, არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, თუმცა, შს სამინისტროში რადიო თავისუფლებას უთხრეს, რომ უწყების ადამიანის უფლებების დეპარტამენტის თანამშრომლები გეგმავენ ბავშვის მშობლებთან გასაუბრებას. მათივე განცხადებით, „საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მსგავსი ვიდეოების საფრთხეებთან და ბავშვის განვითარების რისკებთან დაკავშირებით, საჭიროებს განზოგადებას და ხანგრძლივ ვადიან მულტიდისციპლინურ მუშაობას, რომელშიც ჩართული უნდა იყოს როგორც სახელმწიფო უწყებები, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები“.***

# „ინიციატივა არ ისჯება“...

13 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში სათემო განვითარების ცენტრის მიერ ფილმის “ ინიციატივა არ ისჯება” რეგიონული ჩვენება-განხილვა მოეწყო. არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფს სათემო განვითარების ცენტრის სათემო თვითორგანიზების ისტორიის მკვლევარები ანა მარგველაშვილი (სათემო განვითარების ცენტრი), ირაკლი ხვადაგიანი (საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია) და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მკვლევარი ირაკლი ირემაძე შეხვდნენ.

სათემო განვითარების ცენტრის მთავარი მიზანია საქართველოს რეგიონებისა და სოფლების საერთო კულტურულ და სოციალურ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი გარიყულობის დაძლევა, ადგილებზე ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა. ცენტრის აზრით, ამ მიმართულებით მდგრადი შედეგების მიღწევა შესაძლებელია საკუთარ პასუხისმგებლობასა და აქტიურ სამოქალაქო ცნობიერებაზე დაფუძნებული თემის განვითარების ხელშეწყობით. ასევე მათი ხედვით საქართველოს რეგიონებში თემი უფრო აქტიურად ჩაერთოს საკუთარი განვითარების პროცესებში, გამოხატავდეს მეტ სამოქალაქო აქტივობას და სოლიდარობას, ეს კი შესაძლებელია, თუ ადგილებზე არსებობს უფრო ძლიერი, განათლებული ადამიანური კაპიტალი.

დისკუსია გაიმართა შემდეგ საკითხზე: რატომ არის დღეს სათემო თვითორგანიზება და თანამშრომლობა, გაერთიანება და სოფლის სასიკეთო ცვლილებებისთვის ერთად ბრძოლა რთული? როგორი იყო თემის თვითორგანიზების გამოცდილება საქართველოში და რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ადგილობრივი მოსახლეობა? ამავე კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობს დოკუმენტური ფილმიც **“ინიციატივა არ ისჯება”**, რომელიც გადაღებულია სათემო განვითარებისა და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის ერთობლივ კვლევაზე დაყრდნობით. მასში ასახულია 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციამდე, საქართველოს რეგიონებში კერძო ინიციატივების, ინდივიდუალური ძალისხმევის და ამის შედეგად თემის თანამშრომლობის მაგალითები, მიმართული თემის ინტერესების დაცვასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. ფილმი გადაღებულია და ჩვენება-დისკუსიები იმართება ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით.



**„რამდენიმე წელია მე და ჩემი კოლეგები სხვადასხვა სოფლებში, სხვადასხვა ორგანიზაციებში სათემო განვითარების საკითხებს ვიკვლევთ, თუ როგორ ახერხებს სოფლის თემი თვითორგანიზებას, საკუთარი პრობლემებისთვის გაერთიანებას და ა.შ.რომ გითხრათ რომ დღეს ამ მხრივ ოპტიმისტური ვითარებაა საქართელოში, არ არის ასე. როგორც წესი სოფელი ძალიან რთულად ახერხებს თვითორგანიზებას. სწორედ ეს იყო ჩვენი კვლევის მთავარი შეკითხვა, თუ რატომ ვერ ვახერხებთ ამას. ჩვენ როდესაც დავდიოდით საქართველოს მასშტაბით, მოსახლეობა გვეუბნებოდა, რომ ეს არ არის ჩვენი კულტურის ნაწილი, ჩვენ ეს არასდროს არ შეგვეძლო, ჩვენ სხვანაირები ვართ. ეს ეხლა არის თითქოს ძალით შემოტანილი თვითორგანიზება, მონაწილეობა და ა.შ. არ დაგვაკმაყოფილა ამ პასუხმა და გადავწყვიტეთ, რომ გვენახა არქივებში მართლა ასეა თუ არის რაღაც რაც იყო და ჩვენ აღარ გვახსოვს, არ ვიცით. შედეგები რაც ვნახეთ ისტორიული კვლევების შემდეგ, აბსოლუტურად საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, მასალა რასაც ჩვენ მივაგენით, სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა. სხვადასხვა არქივების მიხედვით მე-19 საუკუნის ბოლოს, მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ სოფელს შეეძლო გარკვეული ტიპის გაერთიანება. ჩვენ ვერ ვიტყვით რომ ეს მასიური პროცესი იყო, მაგრამ გარკვეული ცვლილებებისთვის ხალხი ერთიანდებოდა. ამ ისტორიულ მაგალითებზე და დღევანდელ პრობლემებზე ვეცადეთ გაგვეკეთებინა ნახევარსაათიანი ფილმი. 20 სხვადასხვა მაგალითი გამოვავლინეთ, (მეტიც აღიწერებოდა), და სწორედ ამ მაგალითების ჩვენებას ვთავაზობთ სხვადასხვა სათემო ორგანიზაციებს. ვცდილობთ ამით რაიმე სახის მსჯელობის დაწყებას შევუწყოთ ხელი: რატომ გამოგვდიოდა რაღაც ვთქვათ ადრე და არ გამოგვდის ახლა“** - აღნიშნა სათემო განვითარების ცენტრის მკვლევარმა ანა მარგველაშვილმა.



საგულისხმოა, რომ არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფსა და სათემო განვითარების ცენტრს შორის აქტიური კომუნიკაცია შედგა და შემდგომი ერთობლივ ნაბიჯებზეც გაკეთდა აქცენტი.

ქუქუნა ყანჩაშვილი

# WASH-ი დედოფლისწყაროში

17 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის „ქალთა ოთახში“ ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ნედლი წყლის მოპოვებისა და დამუსავებამოხმარების პროფესიონალური ინსტრუქციები“. მოწვეულ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა პროექტის Wash ინიციატივა საქართველოში სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ქალებისა და ბავშვებისათვის“ შესახებ დედოფლისწყაროს Wash საბჭოს ხელმძღვანელმა ინგა შიოლაშვილმა. ისაუბრეს „Wash საბჭოს“ ფუნქცია-მოვალეობებზე, თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი და საბჭოს არსებობა მუნიციპალიტეტში, რის შემდეგაც დეტალურად გააცნეს სემინარის მონაწილეებს ადამიანის უფლებები წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე, ასევე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- **წყლის ბრუნვის ციკლი;**
- **ნედლი წყლის მოპოვების მეთოდები;**
- **ნედლი წყლის დამუშავება და მოხმარება;**
- **კოაგულაცია;**
- **წყლის ქიმიური დეზინფექცია;**
- **წყლის ლაბორატორიული ანალიზი.**

„აღნიშნული პროექტის ფარგლებში „Wash საბჭოს“ წევრებმა გავიარეთ „TOT ტრენერთა ტრენინგები“, დღეს კი შევეცადე მსმენელისთვის გადმომეცა იქ მიღებული ცოდნა. დამსწრე საზოგადოებამ მიიღო ინფორმაცია, თუ რა პროცესებს გადის წყალი, სანამ ონკანებამდე მივა და სასმელად ვარგისი გახდება.



როგორც მოგეხსენებათ, პროექტს WASH ინიციატივა საქართველოში სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ქალებისა და ბავშვებისათვის“, მიზანია სოციალურად დაუცველი მრავალეთნიკური თემების, ჯანმრთელობის დაცვისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, წყალთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ცნობიერების ამაღლება და Wash სტანდარტების დამკვიდრება თანამონაწილეობრივი გზით,“ განაცხადა „დედოფლისწყაროს Wash საბჭოს“ წევრმა, ტრენერმა მირანდა ჭინჭარაულმა.



ტრენინგს ესწრებოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის თემატურად მოწვეულნი გახლდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლები. შეხვედრაზე საინტერესო დისკუსია გაიმართა სტუმრებს შორის აქტუალურ თემებზე-ნედლი წყლის მოპოვების მეთოდებზე, მის დამუშავებასა და წყლის ქიმიურ დეზინფიცირება-ლაბორატორიულ ანალიზზე. დებატებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ექიმი-სანიტჰიგიენოლოგი გივი პოპიაშვილი და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის ლაბორანტი თამარ მჭედლიშვილი, მედიის, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები. დასასრულს ტრენერმა მირანდა ჭინჭარაულმა მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას, რომ შეემუშავებინათ პროექტი იმ საბავშვო ბაღებსა ან სკოლებზე, რომლებსაც სასმელი წყლის მიწოდების ან საპირფარეშოს პრობლემა აქვთ, რომ 30-40 ათასი ლარის ფარგლებში სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებში მოხდეს სველი წერტილების მოწყობა და ამით მოგვარდეს ის პრობლემა, რომელსაც ბავშვებში სანიტარული თუ ჰიგიენური ნორმების დაუცველობა ქმნის.

ელზა ხარაშვილი

# არსებობს თუ არა ფორმულა საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის

სამი ათწლეულია, სიღარიბესა და უმუშევრობას ვებრძვით. როგორადაც უნდა ვიკვეხნიდეთ ქვეყნის მოწინავე პოზიციებს საერთაშორისო რეიტინგებში, არაფერს ფასი არა აქვს, სანამ აქტუალური იქნება ფრაზა, არ გაბრიყვდე, საქართველოში არ დაბრუნდე, აქ რა დაგრჩენიაო! ექსპერტების შეფასებით, ყველა კარს აქვს თავისი გასაღები, მთავარია, სწორად მოარგო.

სოსო არჩვაძე, **ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში**: - საქართველო საშუალოდ განვითარებული ქვეყნების აუტსაიდერთა რიგებშია. ეკონომიკური ზრდის ტემპები თითქოს მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აბსოლუტური მონაცემები არასახარბიელო. მაგალითად, საქართველო მშპ-ის ზრდის ტემპით გერმანიას სამჯერ და მეტად უსწრებს, მაგრამ თუ ავიღებთ აბსოლუტურ მატებას მოსახლეობის ერთ სულზე, გერმანიაში ის სამჯერ სწრაფად იზრდება. ამ ტემპებით გერმანიას 159 წლის შემდეგ დავეწევით.

**- რა უნდა გავაკეთოთ, რომ მოკლე ვადებში შევძლოთ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევა.?**

- ამისთვის ორი გზა არსებობს. ერთი გადის ინოვაციურ მეცნიერებებზე დაფუძნებულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროდუქტების წარმოებაზე. თავის დროზე ეს გზა აირჩია და წარმატებასაც მიაღწია ირლანდიამ. ქვეყანა, რომელმაც რამდენიმე მილიონი ადამიანი დაკარგა XIX საუკუნეში შიმშილობისა და ემიგრაციის გამო, დღეს მშპ-ით მნიშვნელოვნად უსწრებს გაერთიანებულ სამეფოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა. რამდენად შესაფერისია ირლანდიის გზა საქართველოსთვის? ჩვენ გვყავს ნიჭიერი, ინოვაციური ხალხი, მაგრამ ამას უფრო *სეგმენტური და ფრაგმენტული ხასიათი აქვს. გარდა ამისა, თუ ვნახავთ, რა თანხაა ბოლო წლებში ჩადებული მეცნიერებასა და ახალ ტექნოლოგიებში, სამწუხაროდ, რამე მნიშვნელოვანი გარღვევისა და გარდატეხის იმედი არ უნდა გვქონდეს.

გვრჩება მეორე გზა, რომელიც რაც უნდა ბანალური მოგვეჩვენოს, ქვეყნის რესურსების სწორად გამოყენებას ეხება. XX საუკუნის დასაწყისში ჭიათურის მანგანუმზე მსოფლიოს ექსპორტის 50%-ზე მეტი მოდიოდა. საბჭოთა კავშირის ფარგლებში ჩვენი ციტრუსები და ჩაი მაღალი საექსპორტო პოტენციალით გამოირჩეოდა. ახლა ასეთი პოტენციალი ჩვენს წყლის რესურსებს აქვს, ვგულისხმობ მტკნარ, დასალევ წყალს, რომელზეც მსოფლიოში მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. პირდაპირ შეგვიძლია გადმოვიღოთ მოდელი, რაც თავის დროზე გამოიყენა ნორვეგიის ხელისუფლებამ ნავთობპროდუქტების ათვისებისას. დღესაც ნორვეგია ჩრდილოეთის ზღვაში იმდენ ნავთობს მოიპოვებს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია როგორც ეკონომიკური განვითარების დონით, ასევე ადამიანური განვითარების ინდექსით.

ნორვეგიული მოდელის საიდუმლო ის არის, რომ რესურსები ცხადდება მთელი ქვეყნის სიმდიდრედ და არა საკუთრებად და აქედან სარგებელს იღებს ნორვეგიელი ხალხი. ნავთობი სპეციალური კომპანიების საშუალებით გადის ექსპორტით და ფული ბიუჯეტში აკუმულირდება. დღეს ნორვეგიის მომავალი თაობების ფონდში 1 ტრილიონ დოლარზე მეტია, მოსახლეობა კი 5,5 მილიონია. თანხა გადადებულია, რომ თუ ნავთობის მოპოვება შეწყდება, ამ თანხით ქვეყნის ეკონომიკის განვითარება იქნება შესაძლებელი.

**- ანუ ჩვენ რომ ნორვეგიის მოდელი გადმოვიღოთ, მტკნარი წყლები უნდა გამოვაცხადოთ სახელმწიფო საკუთრებად?**

- მათი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება, შესაბამისი სარგებლის მიღებით ბიუჯეტისა და ყოველი მოქალაქისთვის. ეს სტიმულს მისცემს სეპარატისტულ რეგიონებსაც, ამ მოდელით დაინტერესდნენ და კეთილდღეობის ზრდას საქართველოსთან ერთად მიაღწიონ.

ნავთობს აქვს ალტერნატივებიც, ევროპაში ნავთობის 35-დან 60%-მდე უნდა ჩანაცვლდეს განახლებადი ენერგიის საშუალებებით. წყალზე კი მოთხოვნილება დროთა განმავლობაში მხოლოდ გაიზრდება. მეტიც, უკვე შეინიშნება კონფლიქტები, დაძაბულობა მტკნარი წყლის რესურსების გამო. ამიტომ უნდა გავიხედოთ პერსპექტივაში, შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო კორპორაცია და ჩვენი მტკნარი წყლის რესურსები ავამოქმედოთ. ეს უნდა იყოს ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციის პროექტი და 8-10 წელიწადში შესაძლოა საქართველოს ჰქონდეს 2,5-3-ჯერ მეტი მშპ ერთ მოსახლეზე. ამით ბევრი, დღეს თითქოს გადაუჭრელი პრობლემაც მოგვარდება.

# არ მიფიქრია, პარტიული ფუნქციონერი გავმხდარიყავი...



არ უფიქრია, მაგრამ ცხოვრებამ და ბედისწერამ ასე ინება, რომ ის დღესაც დედოფლისწყაროს საზოგადოებისთვის „ლამარა იოსებოვნაა“. ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა გაიარა, სულ ალმასვლით იარა და თამამად შეუძლია თქვას, რომ საკუთარი ნიჭის, გონიერების, შრომისმოყვარეობის, განსწავლულობის და მრავალი დადებითი ადამიანური თვისების წყალობით ნაბიჯ-ნაბიჯ იარა წარმატებისკენ. ლამარა ჭუჭულაშვილი 80 წლის გახდა. უკან დარჩა საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება და მოგონებები – ზოგი სევდიანი, ზოგი სილაღით და სიამოვნებით სავსე, ზოგი ჭკუის სასწავლი და გამოცდილების მომტანი. მაინც ყველაფერი ბავშვობიდან იწყება. ის იოსებ ჭუჭულაშვილის და მარიამ გოდერძიშვილისთვის, ქალ-ვაჟის შემდეგ, ნაბოლარა შვილად მოევლინა ქვეყანას. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მოულოდნელად ოჯახის დედა გარდაიცვალა. მაშინ ლამარა მხოლოდ ხუთი წლის იყო. ბუნდოვნად ახსოვს, დედასთან, საავადმყოფოში, გამოსამშვიდობებლად რომ მიიყვანეს ბავშვები. მერე ოჯახში დიასახლისის ადგილი სხვა ქალმა დაიკავა. დედინაცვალი ერქვა ელენე ხოხონიშვილს, მაგრამ სულაც არ ჰგავდა ზღაპრის ჯადოქარ დედინაცვალს. ის მშვიდი და კეთილი ადამიანი იყო. ისე უვლიდა გერებს, როგორც თავის სამ შვილს. შემდეგ მეშვიდე ბავშვიც შეემატა ოჯახს. წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორი იყო იოსები, ლენინის ორდენის კანდიდატი თავს არ ზოგავდა, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით არც თუ მთლად დალხენილი ცხოვრება ჰქონდა მრავალშვილიან ოჯახს, თუმცა, ერთ მუშტად მეკრულ ოჯახში ერთნაირ სითბოსა და მზრუნველობაში იზრდებოდნენ და ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემით ცხოვრობდნენ. დღესაც უყვართ და ეიმედებათ ერთმანეთი. ლამარა ყველა ბავშვისგან გამოირჩეოდა გონიერებით და სწავლის სურვილით. სექტემბერი რომ დადგებოდა, ყველა ღონეს ხმარობდა, წიგნები და რვეულები რომ არ მოჰკლებოდა: – პრინციპულად მოითხოვდა, ჟინიანობდა, ხანდახან დაუსრულებლადაც კი ტიროდა, ვიდრე, მიზანს არ მიაღწევდა. ეს მიზანსწრაფულობა ცხოვრების სავალ გზაზე სულ თან სდევდა და წარმატებისაკენ მიმავალ გზასაც უკვალავდა.

– ფრიადოსანი ვიყავი და როცა მოწინავეთა დაფაზე გამოსაკრავი სურათის გადასაღებად დამიბარეს, მოსწავლის ფორმა კაბა არ მქონდა და მერი მათიაშვილის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს) კაბა ჩამაცვეს, მაგრამ ეს არ მანაღვლებდა, მთავარია, წიგნები და სასწავლო ნივთები მქონოდა, – იხსენებს ქალბატონი ლამარა.

არასრული საშუალო სკოლა ფრიადზე დაამთავრა და სწავლა სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებელში გააგრძელა. იქაც წარჩინებული გახლდათ და სწავლის დამთავრებისთანავე შრომაში ჩაება. პიონერული მუშაობით დაიწყო მისი შრომითი ბიოგრაფია. ჯერ წითელწყაროს პიონერთა ბანაკის პიონერხელმძღვანელად დაინიშნა, მერე – მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლში, შემდეგ კი სკოლა-ინტერნატში გააგრძელა მუშაობა. პერსპექტიული და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩა რაიონის ხელმძღვანელობას და ის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად დაინიშნა. იყო სისხლავსე და ინიციატივებით გაჯერებული ახალგაზრდული ცხოვრება, რომელმაც დიდი გამოცდილება შესძინა ქალბატონ ლამარას. რამდენიმე წელში ის პარტიის რაიკომში ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ კი პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. 5 წელი უძღვებოდა სფეროს, რომელსაც დიდი დატვირთვა ჰქონდა სისტემის მუშაობაში. სწორედ იდეოლოგია იყო ის ხერხემალი, რომელსაც კომუნისტური პარტია ეყრდნობოდა. შემდეგ რაიაღმასკომში გადაინაცვლა, ცოტა ხანს მდივნად იმუშავა და მალევე თავმჯდომრის მოადგილედ დაინიშნა. ძირითად სამსახურთან ერთად ის მუდმივად იყო დატვირთული საზოგადოებრივი საქმიანობით: იყო რაისაბჭოს დეპუტატი, სხვადასხვა საკითხის შემსწავლელი კომისიების წევრი თუ თავჯდომარე და სხვა. მეუღლის ავადმყოფობის გამო 2003 წელს გამგეობის მთავარი სპეციალისტის თანამდებობით დაასრულა შრომითი საქმიანობა და დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

– სიმართლე გითხრათ, პარტიულ ფუნქციონერად ჩამოყალიბებაზე არ მიოცნებია ბავშვობიდან. ერთი ბეჯითი, სწავლას მოწყურებული გოგონა ვიყავი, რომელმაც იცოდა, რომ სიდუხჭირიდან თავის დაღწევის საუკეთესო გზა განათლება იყო. ეს ყველაფერი მერე, თანდათან მოვიდა. ახლა, როცა კომუნისტური რეჟიმის დროს მოღვაწეებს „ჩარეცხილები“ უწოდეს და უმრავლესობამ გადათქვა კომუნისტური პარტიის წევრობა, მე მიმაჩნია, რომ ეს უსამართლობაა. განა ჩვენ პარტიის მსახურების გარდა არაფერს ვქმნიდით, არაფერს ვგრძნობდით და არაფერზე ვფიქრობდით?! სამშობლოს უანგარო სიყვარულს, შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას, ურთიერთპატივისცემას, ტოლერანტობას, ზნეკეთილობას ბავშობიდანვე გვინერგავდნენ და ამ პრინციპებით ვცხოვრობით კიდეც. საზოგადოება უფრო მშვიდი, გაწონასწორებული და წინდახედული იყო, არსებობდნენ შეძლებულები და ნაკლებადშეძლებულები, მათ შორის სხვაობა ასეთი დიდი არ იყო, მაგრამ სიღატაკისგან, მიუსაფარობისგან დაცული იყო ადამიანი. თუ მართალი იყავ და ბრძოლისუნარიანი, შენს სიმართლეს უცილობლად დაამტკიცებდი. მე არ ვამბობ, რომ ნაკლი არ ჰქონდა მაშინდელ წყობას, რამდენიც გნებავთ, მაგრამ ის, ძირითადად, ინდივიდის არაკეთილსინდისიერი საქციელით და უპასუხისმგებლობით, თუნდაც სიხარბითა და მომხვეჭველობით იყო ძირითადად განპირობებული. გულწრფელად ვიცინოდით, გვიხაროდა, ვზეიმობდით. ახლა გული მიკვდება ამ სიდუხჭირის შემხედვარეს, იმ საერთო -სახალხო ქონების არაკანონზომიერმა, არათანაბარმა და უსამართლო გაყოფამ წარმოშვა მდიდრები და ღატაკები და მათ შორის სხვაობა ასიათასობით და მილიონობით ლარს აღწევს. საშუალო ფენა არ შეიქმნა. მართალია, დღევანდელი მთავრობა ბევრს საუბრობს კოოპერატივების, ინდმეწარმეთა ხელშეწყობის საკითხებზე, მაგრამ პრაქტიკულად შედეგს ნაკლებად ვხედავთ. გული მომდის, რომ ნაციონალურმა პარტიამ და მათმა მთავრობამ იმდენი ცუდი რამ ჩაიდინეს და თითქმის უპასუხოდ დარჩნენ ერთეული შემთხვევების გარდა. დღესაც ქაოსს ქმნიან ქვეყანაში, ტელევიზორის ჩართვა აღარ მინდა.30 წელია, თავისუფლები ვართ, მაგრამ ქვეყანა ვერ გაიმართა. პესიმისტი არ ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი დრო დაგვჭირდება ნორმალურ, დალაგებულ ქვეყნად რომ ჩამოვყალიბდეთ, – ამბობს ქალბატონი ლამარა და კიდევ მრავალ ფაქტს და ეპიზოდს იხსენებს წარსულისა და დღევანდელობის ავ-კარგის გასარჩევად.

ჩვენ კი ისევ მის ცხოვრებას მივუბრუნდეთ. 1973 წელს, 34 წლის ასაკში შექმნა ოჯახში ერთ წესიერ, პატიოსან, მშრომელ და განათლებულ ადამიანთან. ბორის ალადაშვილი არბოშიკის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი და მევენახე-აგრონომი გახლდათ. სისტემატიური ურთიერთობა ჰქონდა რაიონის ხელმძღვანელობასთან, მათ შორის ქალბატონ ლამარასთანაც, მოსწონდა კიდეც, მაგრამ...თითქმის 7 წელი იყო მათ ურთიერთობაზე საუბარი და, ბოლოს და ბოლოს, გვირგვინიც დაედგა. ისეთი თბილი და ტკბილი ოჯახი ჩამოყალიბდა, რომ მერე სულ ნანობდნენ იმ დაკარგულ წლებს, როცა მხოლოდ შორიდან ფიქრობდნენ ერთმანეთზე. არა მხოლოდ მეუღლეები, მთელი ოჯახი ჰარმონიულად შეეწყო ერთმანეთს. ისეთი ტკბილი დედამთილი და მული ჰყავდა, ჩემი ობლობა სულ დამავიწყესო, იხსენებს ქალბატონი ლამარა. გამორჩეულად მადლიერია დედამთილის, ქეთევან ქერაშვილ-ალადაშვილისა, რომელმაც შვილებიც დააზრდევინა და მის კარიერულ წინსვლასაც შეუწყო ხელი. იქნებ ამიტომაც უწოდა მისი სახელი უფროს ქალიშვილს. ქეთევან ალადაშვილი დღეს გერმანიაში, ქალაქ მაინცში, ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე - მატიას ნოიბერი, მეცნიერი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი. გერმანიამდე კი ქეთიმ თბილისის სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტი დაამთავრა. მის სადიპლომო ნამუშევარს „ბატიკა სხვადასხვა ფერსა და განზომილებაში“ უმაღლესი შეფასება ხვდა წილად. ახალგაზრდული ენერგიით და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდა დიზაინერმა 1995 წელს თავისი კოლექციების პირველი და დაუვიწყარი ჩვენება გამართა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც მისი ფერწერული ტილოებიც იყო გამოფენილი. ამით მან სიცივესა და სიბნელეში ჩაძირული ქალაქს წუთით დაავიწყა რეალობა და შეახსენა, რომ ხელოვნებაშია ჭეშმარიტება და რომ თვით ხელოვნება არის თავისუფლებაც და უკვდავებაც. სწორედ ამ თავისუფლებისკენ ლტოლვამ ჩაიყვანა ის გერმანიაში, სადაც ძიძად მუშაობის პარალელურად დაამთავრა ქ. მაინცის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებელი დიზაინის განხრით. დღეს ქეთი მსოფლიო დონის დიდ და ცნობილ „ჰუგობოსის“ ფირმაში მუშაობს მამაკაცის ტყავის ტანსაცმლის ხაზით. მის მიერ შექმნილი დიზაინით მსოფლიოს ბევრი ქვეყანა სარგებლობს. ამიტომ, ხშირად უხდება მოგზაურობა, რაც მის ძირითად ჰობს წარმოადგენს.



მეორე ქალიშვილმა – მანანამ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტი დაამთავრა. მშვენიერ ქალიშვილს სიყვარულიც მალე ეწვია და ლევან ნათელაშვილთან ერთად შექმნა ოჯახი. ისეთი მტკიცე და მყარი აღმოჩნდა მათი სიყვარული, რომ ყველა დაბრკოლება გადალახეს და დღეს მათი ქალიშვილი - მარიამ ნათელაშვილი გერმანიაში, ქ. მაინცში, სამხატვრო უმაღლეს სასწავლებელში შიდა ინტერიერის დიზაინს და არქიტექტურას ეუფლება. მარიამმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიარა სამი კურსი და მერე მიაშურა გერმანიას. დღეს ის კმაყოფილია იქაური სწავლების დონის, დისციპლინისა და პრაქტიკული სწავლების კუთხით. მანანა წლების განმავლობაში თბილისის ბრიტანეთის საბჭოში მუშაობდა. ამჟამად სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ ხანგრძლივი სამსახურეობრივი მივლინებით იმყოფება საზღვარგარეთ. მართალია, ოჯახის წევრები სისტემატურად გვერდში არ ჰყავანან ქალბატონ ლამარას, მაგრამ მაინც არ უჩივის ბედს, რადგან დღევანდელი საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებებით ის ყოველდღიურად კავშირშია მათთან. ბოლო რამდენიმე წელია, 3-4 თვიანი „მივლინებით“ გერმანიაში შვილთან მიემგზავრება და არა მხოლოდ გერმანიის, არამედ სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობებსაც ათვალიერებინებს ქეთი, რითაც უზომოდ კმაყოფილია. პარიზის, შვეიცარიის, ავსტრიაში ვენის ნახვით გამოწვეულ შთაბეჭდილებებზე სიამოვნებით საუბრობს.

– მოგზაურობა, სხვადასხვა ქვეყნის მონახულება და გაცნობა ძალიან სასიამოვნოა. 1986 წელს ზემო ქედის ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საგასტროლოდ გაემგზავრა და მე ხელმძღვანელად გამაყოლეს. პირველი შთაბეჭდილება ამ ხალხის და ამ ქვეყნის შესახებ სწორედ მაშინ მივიღე და ბევრი რამ მომეწონა. ამიტომ, როცა ქეთიმ გერმანიაში წასვლა გადაწყვიტა, წინააღმდეგობა არ გამიწევია. გერმანია ძალიან განვითარებული, მდიდარი, მოწესრიგებული ქვეყანაა. ხალხი შრომისმოყვარე, მოვალეობის მაღალი პასუხისმგებლობით, თითოეული მოქალაქე ცდილობს, თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი ჩადოს მასზე დაკისრებულ საქმეში, ანაზღაურებაც, შესაბამისად, მაღალია, ხალხი, ძირითადად, მრეწველობაშია დასაქმებული, თუმცა, სოფლის მეურნეობაც კარგად არის განვითარებული და ძალიან კეთილმოწყობილი სოფლები აქვთ, ყველანაირი კომფორტით დაკმაყოფილებული. ირგვლივ იდეალური სისუფთავე და სიმწვანეა. ადგილ-ადგილ ხელუხლებლადაა შემონახული ომის დროს იავარქმნილი ადგილები, რათა მუდამ ახსოვდეთ ადამიანებს, რომ ომი საშინელებაა. ქუჩაში და სამსახურში ხალხი ღიმილიანი და თბილია, თუმცა, აქ მთავრდება მათი კონტაქტები, ყველა თავის გზაზე მიდის და თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩვენსავით გადაძახილ-გადმოძახილით, მირთმევ-მორთმევით და სტუმართმასპინძლობით არ არიან დაკავებულები. თუმცა, ჩემმა ქეთიმ დიდი „დისონანსი“ შეიტანა თავის სამეზობლოში. ახლა ისინი ერთმანეთთან მეზობლურ კონტაქტში არიან და ქართულ სამზარეულოსაც ეზიარებიან. ამ ზაფხულს 4 მათგანი სტუმრად ჩამოიყვანა საქართველოში. მათ დაათვალიერეს სვანეთი, კახეთი, დავით-გარეჯი, თბილისი და გაოცებულები და გადარეულები წავიდნენ. ეს ჩვენს გენშია – სადაც ქართველია, იქ ხალისი და სიყვარულია.

ჩვენგან განსხვავებით სრულიად აპოლიტიკურები არიან. ჩვენ ყოველდღიურად დაღლილები ვართ პოლიტიკით. ისინი არ კითხულობენ, ვინ არის ქალაქის მერი, პარლამენტის წევრი და სხვა. მთავარია, მას ჰქონდეს თავისი ცხოვრების და სამსახურის შესაბამისი გარემო.

ყველაზე კმაყოფილები და ბედნიერები კი პენსიონერები არიან. საპენსიო დანაზოგს, რომელიც საკმაოდ მაღალია, ზოგ შემთხვევაში ნამსახურობის, ზოგ შემთხვევაში კომპანიის სპეცხარჯებიდან ემატება და მათ ეკონომიკური პრობლემა არ ექმნებათ. ამიტომ არის, რომ დაძაბული შრომითი საქმიანობის შემდეგ, ისინი სრულად ეძლევიან დასვენებას, მოგზაურობენ, სტუმრობენ სანატორიუმებს და სხვადასხვა კურორტს. ჩვენ პატარა ქვეყნის, ეკონომიკურად არცთუ გამართული ქვეყნის მაცხოვრებლები ვართ და გერმანიის დონემ გული არ უნდა გაგვიტეხოს, ერთხელაც იქნება, ჩვენც გავიმართებით წელში, - ასეთ ოპტიმისტურ განწყობაზე დავასრულეთ საუბარი ჩვენს იუბილარ რესპოდენტთან.

ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, ქალბატონ ლამარას მივულოცოთ დაბადების 80 წლისთავი, ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვოთ თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

ნაირა გორაშვილი

# თურქეთი სირიაში შეიჭრა, მაგრამ უშედეგოდ... რა შეცდომები დაუშვა ერდოღანმა?

*17 ოქტომბერს მაიკ პენსის ერდოღანთან შეხვედრის შემდეგ, აშშ-მა განაცხადა, რომ ანკარა დროებით შეწყვეტს ცეცხლს სირიის ჩრდილოეთით. მაგრამ თურქეთის შეტევა ქურთულ რაზმებზე უკვე მანამდე შევიდა ჩიხში. 9 ოქტომბრიდან, ოპერაციის დღიდან, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, თითქოს ყველაფერი გააკეთა „ჰიბრიდული ომების" წარმოების თანამედროვე წესების დაცვით: თავისი არმიის წინ დაძრა სირიული „პროქსი" (არარეგულარული სამხედრო ფორმირებები) - ისლამისტური ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი რაზმები - და მოელაპარაკა ქურთების მოკავშირე აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომ ის გაიყვანდა რეგიონიდან თავის ძალებს და არ შეეწინააღმდეგებოდა ინტერვენციას. თუმცა რამდენიმე დღეში ცხადი გახდა, რომ ერდოღანი დამარცხდა. აშშ-ის ნაცვლად ქურთების დაცვა დაიწყეს სირიის და რუსეთის არმიებმა. აშშ-ი და დასავლეთის სხვა ქვეყნები ინტერვენციის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითხოვდნენ და თურქეთს სანქციები დაუწესეს. ქურთული რაზმები არ განადგურდა და (ჯერჯერობით) სირიის ხელისუფლებას ისინი არ გააუქმებია - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თურქულმა ოპერაციამ ვერცერთ მიზანს მიაღწია. სპეციალისტები ასახელებენ 4 მთავარ შეცდომას, რომელიც ერდოღანმა „ჰიბრიდული ომების" თეორიის და პრაქტიკის თვალსაზრისით დაუშვა.*

### არ გაითვალისწინა აშშ-ის და რუსეთის რეალური ინტერესები

თანამედროვე „ჰიბრიდულ ომებში" მუდმივი მოკავშირეები არ არსებობენ.

2015 წლის შემოდგომაზე რუსეთი და თურქეთი მტრებად იქცნენ. მაშინ სირიის არმია რუსული ავიაციის დახმარებით თურქეთის საზღვართან, ლატაკიის მთებში უტევდა პროთურქულ მებრძოლებს, რომელთა აღჭურვასა და წვრთნაზე ანკარამ დიდი რესურსი დახარჯა. 2015 წლის 24 ნოემბერს, თურქულმა გამანადგურებელმა რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდო. პასუხად მოსკოვმა სანქციები აამოქმედა და თურქეთისგან ოფიციალურად ბოდიშის მოხდა მოითხოვა. მტკივნეული სანქციები თურქულ ეკონომიკაში მძიმე კრიზისს დაემთხვა.

საბოლოოდ, 2016 წლის ივნისში ერდოღანმა პუტინს ბოდიში მოუხადა, რუსეთმა სანქციები გააუქმა და ქვეყნები მეგობრულ ურთიერთობებს დაუბრუნდნენ, რათა სირიისა და მთელი რეგიონის ბედი გადაეწყვიტათ. წინააღმდეგობების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოები ვაჭრობდნენ: თურქეთი ზოგჯერ თანხმდებოდა მის დაქვემდებარებაში მყოფი სირიული ოპოზიციური ძალების დროებით გაყვანაზე რაიონებიდან, სადაც დამასკო და მოსკოვი მორიგ იერიშს გეგმავდნენ; სანაცვლოდ, თურქეთს სირიაში ოპერაციის ჩატარების უფლება ჰქონდა. ამგვარად, თურქულმა არმიამ, სირიელ ისლამისტებთან ერთად 2016-17 წლებში გააძევა სასაზღვრო რაიონებიდან „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლები, შემდეგ კი ქურთული კანტონი აფრინი დაიპყრო.

და მაინც, რეალურად, მათი პოზიციები არ შეცვლილა. რუსეთი ითხოვდა სირიის მთელ ტერიტორიაზე დამასკოს ძალაუფლების აღდგენას, თურქეთი კი ბაშარ ასადს არალეგიტიმურ მმართველად მიიჩნევდა და მოითხოვდა სირიის საქმეებში ჩარევის უფლებას.

**ბოლო წლებში, დასავლეთთან ურთიერთობის მოგვარებას ერდოღანი პირადად დონალდ ტრამპთან დიალოგით ცდილობდა. ის დიდხანს ცდილობდა იმის მიღწევას, რომ ტრამპს შეეწყვიტა ქურთებთან მოკავშირეული ურთიერთობები. 2019 წლის ზამთრამდე ეს შეუძლებელი იყო: აშშ-ი ქურთებთან ერთად მდინარე ევფრატის დაბლობში „ისლამური სახელმწიფოს" ძალებს ებრძოდა. თებერვალში „ისლამური სახელმწიფოს" ბოლო კერა განადგურდა, ამერიკელებს და ქურთებს ტყვედ ჩაუვარდათ ასობით მებრძოლი. ამის შემდეგ ამერიკელების მიზანი სირიაში იყო ასადის, რუსეთისა და ირანისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რომლებსაც სირიის აღმოსავლეთზე კონტროლის მოპოვება სურდათ. ამ მიზანს იზიარებდნენ ტრამპის მრჩევლები და სამხედროები, მაგრამ თავად პრეზიდენტი - არა: მას „ჯარისკაცების სახლში დაბრუნება" და ამერიკის „სხვისი ომებიდან" გაყვანა სურდა.**

ამერიკელი დიპლომატები და სამხედროები ერდოღანს კომპრომისს სთავაზობდნენ: ერთობლივ პატრულირებას სირია-თურქეთის საზღვარზე „ქურთების მუშათა პარტიის" მებრძოლების შესაძლო თავდასხმების წინააღმდეგ. თუმცა იდეა ჩავარდა. ერდოღანი უკმაყოფილო იყო, რომ აშშ თავის „პროქსებად" ქურთებს იყენებდა, რომლებიც თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში „ქურთების მუშათა პარტიის" ლიდერის, აბდულა ოჯალანის პორტრეტებს კიდებდნენ. თურქეთის პრეზიდენტი ქურთული რაზმების სრულ ლიკვიდაციას მოითხოვდა.



2019 წლის ოქტომბერში, ტრამპი, ბოლოს და ბოლოს, დაეთანხმა ერდოღანს და ჯარების გაყვანის პირობა მისცა. თუმცა ამ გადაწყვეტილებამ დასავლელი პოლიტიკოსების და საზოგადოების უმრავლესობა აღაშფოთა, მათ შორის ტრამპის უახლოესი მრჩევლებიც. მათ სირიელი ქურთების ტერორისტებად გამოცხადებაზე უარი თქვეს. 15 ოქტომბერს სირიელი ქურთების ლიდერ მაზლუმ აბდისთან სატელეფონო საუბარში ტრამპმა თქვა, რომ „ახლა ჩემ გარშემო დგანან ადამიანები, რომლებსაც თქვენ [ქურთები] უფრო უყვარხართ, ვიდრე საკუთარი სამშობლო".

საბოლოო ჯამში, თურქეთი დამარცხდა „ჰიბრიდული ომის" დიპლომატიურ და მედიურ ფრონტებზე და იზოლაციაში აღმოჩნდა. მეტიც, მან მტრის წისქვილზე დაასხა წყალი: ამერიკული არმიის გაყვანა ასადისა და პუტინისთვის საჩუქარი აღმოჩნდა, რომლებსაც ეს ჯარები ხელს უშლიდნენ „სირიის სუვერენიტეტის აღდგენაში". დამასკოს და მოსკოვს შეუძლიათ, დიდი ძალისხმევის გარეშე ქვეყნის ტერიტორიის კიდევ დაახლოებით მესამედის დაკავება, ანუ თითქმის მთელი სირიის.

### თურქეთმა ვერ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ სირიაში ოპერაციის უფლება აქვს

ანკარა ინტერვენციის უფლებას 1998 წლის ადანის შეთანხმებით ამართლებს. ამ თურქულ-სირიული შეთანხმების მიხედვით, დამასკო ვალდებულია თავის ტერიტორიაზე ებრძოლოს ქურთ ტერორისტებს. თუ სირია ამას არ გააკეთებდა, თურქეთი იძენდა უფლებას დამოუკიდებლად მიეტანა იერიში მებრძოლებზე საზღვრის მეორე მხარეს.

ბოლო დრომდე მოსკოვი ამტკიცებდა, რომ დოკუმენტი - სირიას და თურქეთს შორის ურთიერთობების საფუძველია. თუმცა ახლა ეს შეთანხმება ანკარასთვის შეიძლება უსარგებლო აღმოჩნდეს. დამასკოს, მოსკოვს და ქურთებს შორის შეთანხმების დეტალები ნამდვილად უცნობია, თუმცა გავრცელებული ხმების თანახმად, ქურთები შეინარჩუნებენ ავტონომიას, მაგრამ მათი სამხედრო ფორმირებები დაკარგავენ დამოუკიდებლობას და შევლენ რუსეთის მიერ შექმნილ სირიული არმიის მე-5 კორპუსში. ეს ნიშნავს იმას, რომ თურქეთი დაკარგავს ინტერვენციისთვის ფორმალურ საბაბს, მაგრამ პრინციპულად ვერ გადაწყვეტს „ქურთულ თემას".

დასავლეთისთვის ადანის შეთანხმება არგუმენტი არ არის. ამერიკასა და ევროპაში იზიარებენ იმ აზრს, რომ ქურთები „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლაში დასავლეთის მოკავშირეები და დემოკრატიისთვის მებრძოლი ხალხია. ერდოღანის არგუმენტის, რომ თურქული არმია ებრძვის არმხოლოდ ქურთებს, არამედ „ისლამურ სახელმწიფოსაც", არავის სჯერა. მეტიც, აშშ-ი პირდაპირ ადანაშაულებს თურქეთს იმაში, ის მხარს უჭერდა „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებს, როდესაც ისინი თავს ესხმოდნენ ქურთებს.

ამგვარად, თურქეთმა ოდნავადაც ვერ დაუსაბუთა მსოფლიოს თავისი ქმედებების სისწორე სირიაში.

### თურქეთმა მოკავშირეებად აირჩია „პროქსი" ძალები, რომლებმაც მისი რეპუტაცია შელახეს

ბევრი სირიელი ისლამისტი, რომელიც თურქეთის მხარეს იბრძვის, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ აშშ-ის მხარდაჭერით ასადის რეჟიმს ებრძოდა. ისინი იღებდნენ ამერიკულ იარაღს, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს თჭ-2, რომლითაც არაერთხელ შეუჩერებიათ სირიის არმიის იერიშები. ახლა ამერიკელი ჩინოსნები მათ უწოდებენ „ბანდიტებს და მეკობრეებს, რომლებიც უნდა განადგურდნენ". სხვა ისლამისტებს ისინი გამყიდველებად მიაჩნიათ, რომლებმაც ასადთან ბრძოლაზე უარი თქვეს და თურქულ ფულზე გაიყიდნენ.

**სირიელ ისლამისტებს საკუთარი არმია ანკარამ შეუქმნა თურქეთის მოსაზღვრე ისლამური სახელმწიფოს" ტერიტორიების დასაპყრობად. ზუსტად იმავე დროს იმავე ტერიტორიას ამერიკელების მხარდაჭერით ქურთული რაზმები უტევდნენ. 2016 წელს ქალაქ ალ-ბაბის შემოგარენში მსოფლიოს ისტორიაში უნიკალური„სამმხრივი" ბრძოლა გაჩაღდა: ქურთული რაზმები, თურქული არმია და მისი „პროქსი", ასევე „ისლამური სახელმწიფოს" ძალები რამდენიმე კვირის განმავლობაში ანადგურებდნენ ერთმანეთს. მაშინ დაახლოებით 2500 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, არანაკლებ 400 მშვიდობიანი მცხოვრები.**

თურქეთმა ალ-ბაბი დაიკავა, შემდეგ კი თავისი „პროქსი" ქურთული კანტონის, აფრინის წინააღმდეგ 2018 წელს გამოიყენა. როდესაც კანტონი დაიკავეს, პროთურქი ისლამისტები ქურთების გენოციდში, ძალადობაში, მოროდიორობასა და ეთნიკურ წმენდაში დაადანაშაულეს. ბევრი ქურთის სახლში, რომელმაც აფრინი მიატოვა, დღეს არაბები (სირიის სხვა რაიონებიდან დევნილები და „პროთურქული ოპოზიციის" მებრძოლთა ნათესავები) ცხოვრობენ. დასავლეთში ქურთების მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ ანალოგიური ბედი ელის სხვა ქურთულ კანტონებსაც, თუკი მათ პროთურქი ისლამისტები დაიპყრობენ. ეს მიმდინარე ოპერაციის დროსაც დადასტურდა: 12 ოქტომბერს ისლამისტებმა ხელში ჩაიგდეს რამდენიმე მანქანა, რომელშიც ქურთი ჩინოსნები ისხდნენ და უმალ დახვრიტეს ისინი, ამასთან სიკვდილით დასჯის ვიდოც გადაიღეს.

„პროქსის" მოქმედებების გამო რეპუტაციული ზიანი მიადგა „ჰიბრიდული ომების" არაერთ თანამედროვე მონაწილეს, მაგალითად რუსეთს დონბასში და აშშ-ის სირიაში - ქურთებს ბრალს სდებდნენ არამხოლოდ ტერორიზმის წაქეზებაში, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობებში ევფრატის დაბლობის ქალაქებში, ასევე „ისლამური სახელმწიფოს" ნათესავების განადგურებაში.

თუმცა პროთურქი ისლამისტები იმით გამოირჩევიან, რომ ისინი ანკარას ოპერაციებში თვიანთი მონაწილეობის დასაბუთებას არც ცდილობენ რაიმე იდოლოგიური მოტივებით: ისინი არ იბრძვიან თავიანთი მიწისთვის, არ იცავენ „თანამემამულეებს" ამბოხებულ რეგიონებში, არ ეომებიან (2016 წლიდან) „ისლამურ სახელმწიფოს". დასავლეთში დარწმუნებულები არიან, რომ ყველა მათგანს ამოძრავებს - ფული, სხვისი მიწის დაპყრობის სურვილი და სიძულვილი „ურწმუნოების" მიმართ.

### თურქეთმა წამოიწყო ძალიან ხანგრძლივი ოპერაცია, ძალიან ამბიციური მიზნებით

ოფიციალურად, ოპერაციის საბოლოო მიზანი ერდოღანმა მხოლოდ 16 ოქტომბერს გამოაცხადა, და ის აშკარად ზედმეტად ამბიციურია: 400-კილომეტრიან საზღვარზე 30 კილომეტრის სიღრმის უსაფრთხოების ზონის შექმნა, „ტერორისტების" განადგურება და „გათავისუფლებულ ტერიტორიებზე" მილიონობით სირიელი დევნილის „დაბრუნება". ამასთან, თურქეთმა ინტერვენცია რამდენიმე მოსაზღვრე ქალაქის (დაახლოებით 100 ათასიანი მოსახლეობით) დაპყრობის მცდელობით დაიწყო, რამაც ოპერაციის ტემპი უმალ შეანელა.

ეს შეცდომა ხშირად დაუშვია „ჰიბრიდული ომის" ბევრ მონაწილეს.

2016 წელს სირიის არმიამ და რუსმა სამხედროებმა ქვეყნის უმსხვილესი ქალაქის, ალეპოს აღების ოპერაცია დაიწყეს. ქალაქის ნახევარში გამაგრებულები იყვნენ ისლამისტების კოლიცია და „ზომიერი" ოპოზიციონერები. სირიის არმიის ზურგში დარჩენილმა „ისლამური სახლმწიფოს" რაზმებმა ისარგებლეს იმით, რომ ალეპოსთვის ბრძოლა გაჭიანურდა, რამაც მოითხოვა სირიის თითქმის ყველა ბრძოლისუნარიანი ძალის კონცენტრაცია. „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტებმა დაიპყრეს ცოტა ხნით ადრე გათავისუფლებული პალმირა და წინ წაიწიეს დამასკოსკენ, გადაკეტეს რა სირიული არმიისთვის უმნიშვნელოვანესი გზები. პალმირას დაბრუნება მხოლოდ ალეპოს დაპყრობის შემდეგ, 2016 წლის დეკემბერში გახდა შესაძლებელი. მდინარე ევფრატის მიმართულებით შეტევის გადადებამ ქურთების და ამერიკელების სასარგებლოდ იმუშავა. მათ შეტევა ადრე წამოიწყეს და კონტროლი მოიპოვეს ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ნავთობის და გაზის მდიდარი საბადოებია.

***მსგავსი პრობლემა ორჯერ შეექმნათ ამერიკელებს. 2016 წელს ერაყელ სამხედროებთან ერთად ისინი ცდილობდნენ სწრაფად დაეპყროთ მოსული - უმსხვილესი ქალაქი, სადაც „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტები იყვნენ გამაგრებული. ბრძოლა თითქმის ერთ წელს გაგრძელდა, რის გამოც გადაიდო ქურთებთან ერთად დაგეგმილი შეტევა სირიაში. 2017 წლის ივნისში, როდესაც ეს შეტევა როგორც იქნა დაიწყო, ამერიკელებმა და ქურთებმა ალყაში მოაქციეს „ისლამური სახელმწიფოს" „ხალიფატის" დედაქალაქი - რაქა. ბრძოლა ივნისიდან ოქტომბრამდე გაგრძელდა, რამაც სირიის არმიას და მის რუს და ირანელ მოკავშირეებს საშუალება მისცა ამერიკელებისთვის გაესწროთ სტრატეგიული თვალსაზრისით საკვანძო „რბოლაში ერაყის საზღვართან".***

2019 წელს თურქეთის არმიას რამდენიმე დღით გაუჭინურდა ბრძოლა ორ მსხვილ სასაზღვრო ქალაქზე შეტევისას, ესენია რას-ალ აინი და ტელ-აბიადი (ეს უკანასკნელი თურქებმა 12 ოქტომბერს აიღეს). ქურთული ტერიტორიის სიღრმეში იერიშს ახორციელებდნენ „პროქსის" სუსტი რაზმები, რამაც სირიის არმიას საშუალება მისცა ქურთული ავტონომიის დიდ ნაწილზე კონტროლი მოეპოვებინა.

**2016-2017 წლის ანგარიშში, რომელიც პენტაგონის ექსპერტებმა მოსულისთვის ბრძოლის შედეგებთან დაკავშირებით მოამზადეს, ნათქვამია, რომ თანამედროვე „ჰიბრიდულ ომში" რეკომენდებულია არ მოაქციო ალყაში მსხვილი ქალაქები: თანამედროვე ომში მსხვილი ქალაქების სრულად იზოლიაციაში მოქცევა შეუძლებელია. ეს იწვევს იმას, რომ ქალაქის შტურმი ჭიანურდება და შემტევი ძალებისგან ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს. ქალაქში თავდამსხმელი კარგავს ინიციატივას, მისი ტექნოლოგიური უპირატესობა თავდამცველზე მცირდება. რაც ნაკლებია მოსახლეობის მხარდაჭერა, მით უფრო ხანგრძლივი და რთული იქნება ოპერაცია..**

# ლადო ათანელი

## 30 წელი – მსოფლიო სცენაზე

**ქართული საოპერო მომღერალი, საერთაშორისო მასშტაბის ვარსკვლავი ლადო ათანელი მსოფლიო სცენაზე თავისი შემოქმედებითი საქმიანობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით მასშტაბურ კონცერტს ამზადებს, იუწყებიან ორგანიზატორები.**

შემოქმედებით საღამოში, რომელიც 30 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ ნინო სურგულაძე, ხათუნა ჭოხონელიძე, მარიკა მაჩიტიძე, შალვა მუქერია, არმაზ დარაშვილი, გოჩა დათუსანი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და ორკესტრი. ორკესტრის დირიჟორი მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი იქნება.

საღამოს პროგრამაშია ნაწყვეტები ჯუზეპე ვერდის ორი ოპერიდან: მეოთხე აქტი „რიგოლეტოდან“ და პირველი აქტი ოპერიდან „მაკბეტი“.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 7 ივნისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ლადო ათანელის სახელის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა. 2015 წელს ლადო ათანელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდება მიანიჭა.

### ოპერის ვარსკვლავი

მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერალი ლადო ათანელი დაიბადა 1960 წლის 9 სექტემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში. 1989 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, იმავე წელს შედგა მისი დებიუტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე.

მომღერალი ესპანეთის, გერმანიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსებზე არაერთხელ დაჯილდოვდა გრან-პრითა და ოქროს მედლებით. მრავალი წლის განმავლობაში ათანელი ყველაზე პრესტიჟულ საოპერო სცენებზე იდგა – „ლა სკალა“ (მილანი), „მეტროპოლიტენ-ოპერა“ (ნიუ-იორკი), „კოვენტ გარდენი“ (ლონდონი), „რეალ თეატრი“ (მადრიდი), „დოიჩე ოპერა“ (ბერლინი), ასევე ვენის სახელმწიფო ოპერის თეატრის, ტოკიოს, სან-ფრანცისკოს, ვაშინგტონისა და სხვა ქალაქების სცენები.

უნიკალური ხმითა და ვოკალის მაღალი ტექნიკით დასავლური პრესა ლადო ათანელის ხმას ხშირად ადარებს ისეთ ვარსკვლავებს, როგორიცაა პიერო კაპუჩილი და რენატო ბრუზონი.

კარიერის განმავლობაში ათანელს შესრულებული აქვს რენატოს („ბალ-მასკარადი), ამონასროს („აიდა“), ნაბუქოდონოსორის („ნაბუქო“), მაკბეტის („მაკბეტი“), ჟერმონის („ტრავიატა“) და ა.შ. პარტიები. მომღერალს ტრიუმფალური წარმატება მოუტანა პუჩინის „ტოსკაში“ ბარონ სკარპიას და ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებში“ ტონიოს პარტიების შესრულებამ.

ქართველი ბარიტონი, ლადო ათანელი სწავლობდა ქ.თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 1989 წელს შედგა მისი წარმატებული დებიუტი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯ. ვერდის „ბალ-მასკარადში“ რენატოს პარტიით. იგი არის ფრანცისკო ვინიასის, ი. ჩესტელისა და ბელვედერი სვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების I პრემიისა და გრან-პრის მფლობელი (1991—1996 წ).

1996 წლიდან ლ. ათანელი დიდი წარმატებით გამოდის მსოფლიოს უდიდეს საოპერო სცენებზე: ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი, ბერლინი, ვენა, მილანი, ციურიხი, ჟენევა, მიუნხენი, ვაშინგტონი, ტოკიო, იგივლინება: ვერდის, პუჩინის, ჯორდანოს, ლეონკავალოს, მასკანის, მასნეს ოპერების საუკეთესო შემსრულებლად, მის რეპერტუარშია 40-მდე საოპერო პერსონაჟი, მათ შორისაა: სკარპია, ჟერარი, ტონიო, იაგო, მაკბეტი, ნაბუქო, რიგოლეტო, ბარნაბა, და ბევრი სხვა.

2003 წელს Emi-კლასიკმა დისკზე ჩაწერა პონკიელის ოპერა „ჯოკონდა“, სადაც ათანელმა ბარაბას ურთულესი პარტია შეასრულა ჩვენი დროის უდიდეს ტენორ პლასიდო დომინგოსთან ერთად.



2005 წელს გამოიცა ლ.ათანელის პირველი სოლო ალბომი „საოპერო არიების“ სახელწოდებით, ხოლო 2009 წელს გამოვიდა მეორე ალბომი „ბარიტონის არიები“.

გამოცემულია DVD - ჯ. ვერდის — „ოტელო“, ო. მასნეს —„ტაისი“, პ. ჩაიკოვსკის — „პიკის ქალი“, ჯ. ვერდის —„ბალ-მასკარადი“.

საქართველოში, 2010 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ლადო ათანელის სახელობის ვოკალისტთა კონკურსი. 2011 წელს ლ. ათანელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და დაჯილდოვდა ოქროს მედლით. საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ იგი აღიარებულ იქნა „სიკეთის“ რაინდად.

## ულოცავენ!

### მადონა გიგოლაშვილს!

მშვენიერო ქალბატონო, 16 ოქტომბერს 58 წელი შეგისრულდათ. დაუჯერებელია ეს ციფრები მივუსადაგოთ თქვენს გარეგნობას. თქვენ არა მარტო ახალგაზრდულად გამოიყურებით, არამედ ახალგაზრდული ხალისით და მხნეობით ცხოვრობთ. მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებთ და მწიგნობართა ასოციაციის საქმიანობაშიც აქტიურად ხართ მუდამ ჩართული.

გვინდა, გისურვოთ ჯანმრთელობა, სიცოცხლე და სიხარული თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად. იყავით ბედნიერი, უფალი გფარავდეთ.

**პატივისცემით,**
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობა და წევრები.

### ციცო ბოსტოღანაშვილს!

ჩვენო საყვარელო ციცო, გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერი ოჯახი გყავს, ოთხი შვილის გამზრდელი დედა და სათნო ბებია ხარ.

შენი ცხოვრების დიდი პერიოდი დაუთმე ახალგაზრდების აღზრდას. ჯაფარიძის სკოლაში, სადაც ათეული წლები ასწავლიდი ინგლისურ ენას, ღირსეულად დაგიფასდა. თვითონ, როგორც პიროვნება, ხარ ძალიან პრინციპული. მახსოვს, ორი ათეული წლის წინ, ჩემთან ნათქვამი სიტყვები – არ დავნებდები, ბოლომდე შევებრძოლები ამ გაჭირვებულ ცხოვრებას და მწამს გავიმარჯვებო, ასეც ახდა. იყავ ისეთი მხნე, ჰუმანური და საყვარელი, როგორიც გვახსოვხარ.

**სიყვარულით,**
ქუქუნა და ლალი ჯაგაშვილები.

### ლამარა ჭუჭულაშვილს!

ძვირფასო დედა, გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს. არც კი გვჯერა, ამდენი დრო რომ გავიდა, ეს მხოლოდ ციფრებია, რადგან შენ ისევ ისეთი ჭკვიანი, გონიერი და მხნე ხარ. დიდი ამაგი გაქვს ჩვენზე, რისთვისაც მადლობელი ვართ შენი.მარტო იმაზე გვწყდება გული, რომ მამამ ადრე მიგვატოვა და დღეს ცალუღლად დარჩენილს გხედავთ. იყავ ჯანმრთელი, კვლავაც დიდხანს იცოცხლე ჩვენს საიმედოდ. გვიყვარხარ, გკოცნით და გეფერებით.

**შენი შვილები** ქეთევან და მანანა ალადაშვილები ოჯახებით.

მთელმა ჩვენმა ცხოვრებამ ერთმანეთის თვალწინ ჩაიარა. ვგულშემატკივრობდით ერთმანეთს ჭირსა თუ ლხინში, პატივს ვცემდით და ვერთგულობდით. ათეული წლები გავიდა და ჩვენ ისევ ერთად ვართ. გვიხარია, რომ წლებმა ბევრი ვერაფერი დაგაკლო– 80 წლის ასაკშიც მშვენივრად გამოიყურები, ჩვეული მოხდენილობით და სიკეკლუცით გამოირჩევი. გვინდა, გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და გახარება შენს საყვარელ შვილებთან, მათ ოჯახებთან ერთად, იყავ ბედნიერი, უფალი გფარავდეს.

**პატივისცემით,**
ნაზი მოსაშვილი, ფიქრია ალიკოშვილი, ნაირა გორაშვილი.

## ყურადღება!

1 ნოემბერს, დღის 1საათზე, თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის (გუდიაშვილის ქ.№7) საგამოფენო დარბაზში ქართული გვარების შეკრების საქველმოქმედო კავშირი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის მწიგნობართა ასოციაცია წარმოგიდგენთ პროექტს **„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“**. ღონისძიების წამყვანია პოეტი და პუბლიცისტი **ნანი საბანაძე.** პროექტში სპეციალური მოწვევით მონაწილეობას მიიღებენ მრავალი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები, ახალგაზრდა თაობის ქართველ პიანისტთა გამორჩეული წარმომადგენლები: **გიორგი გიგაშვილი, ელენე შავერზაშვილი, გია აბაკელია,თათა კვანტალიანი და სხვები.**
დასწრება თავისუფალია.

## ყურადღება!

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 1 ნოემბრამდე იმ ფიზიკურ და იურდიულ პირებს, ვინც ფლობს ან სარგებლობს სასოფლო-სამეურნეო მიწებით (სახნავი,საძოვარი) ევალებათ წარადგინონ 2019 წლის ქონების დეკლარაციები. წარუდგენლობის ან ერთი დღით დაგვიანების შემთხვევაშიც კი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გავრცელდება ჯარიმები.
შპს „ლაშარი“ და შპს „ბუღალტერია, ანალიზი, კონტროლი“ მზად არის კვალიფიციური მომსახურებისთვის.
ტელ: 591 22 44 95 , 593 28 11 46.

## ამინდი — დედოფლისწყარო

| ორშაბათი 21.10 | | სამშაბათი 22.10 | | ოთხშაბათი 23.10 | | ხუთშაბათი 24.10 | | პარასკევი 25.10 | | შაბათი 26.10 | | კვირა 27.10 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 16 ° | 14 ° | 16 ° | 15 ° | 16 ° | 13 ° | 17 ° | 13 ° | 16 ° | 15 ° | 16 ° | 15 ° | 16 ° | 15 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.